https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.26

პოსტმოდერნისტული ტენდენციებისათვის ქართულ და თურქულ რომანებში
ON POSTMODERNIST TRENDS IN GEORGIAN AND TURKISH NOVELS

მაკა სუსარეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Maka Susareishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Postmodernism is an active and pervasive trend that has permeated all aspects of public life soon after its emergence, particularly since the 1980s, and is evident in diverse ways across different cultural spheres.

In the ever-evolving landscape of world literature, postmodernism emerged as a literary movement challenging the concept and ideology of modernism, questioning the established norms, narrative structures, classical notions of identity and objectivity, ideas of universal progress and emancipation, and grand narratives.

The origin and development of postmodernism in Turkish and Georgian literature are intertwined with the historical, cultural, and political context of these countries, as well as with global processes that occurred worldwide. Georgian and Turkish postmodernist novels are characterized by key principles of postmodernist culture, such as metafiction, intertextuality, double coding, fragmentation, and a pursuit of narrative experiments, while also placing a strong emphasis on cultural identity. The uniqueness and distinction of these novels are shaped by the cultural and linguistic environments in which they originated.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ქართული მწერლობა, პოსტმოდერნისტული ტენდენციები ქართულ რომანებში, პოსტმოდერნიზმი თურქულ მწერლობაში.
Keywords: modern Georgian literature, postmodernist trends in Georgian novels, postmodernism in Turkish literature.

პოსტმოდერნიზმი არის აქტიური და დომინანტური მიმდინარეობა, რომელმაც გამოჩენისთანავე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჰპოვა ადგილი, განსაკუთრებით ეს ტენდენცია შეინიშნება 1980-იანი წლებიდან და იგი განსხვავებული სახით მანიფესტირდება კულტურის ყველა სფეროში.

პოსტმოდერნთან საქმე გვაქვს იქ, სადაც ვლინდება პრაქტიკული პლურალიზმი, ენათა, მოდელთა, მეთოდთა განხორციელება არა სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე ნაწარმოებში, ე.ი. ინტერფერენციულად, მონაცვლეობით. „პოსტმოდერნმა“, თავდაპირველად შემთხვევითმა და უკიდურესად არაერთგვაროვანმა გამოთქმამ, ლიტერატურაში ნამდვილი ცნების მყარი კონტურები შეიძინა და იმავდროულად ამაღლდა (რაც შემდეგ ამ პროცესისათვის დამახასიათებელი მიმდინარეობით კულტურის სხვა სფეროებშიც განმეორდა) ამ სიტყვის ნეგატიურ მნიშვნელობაზე,

პოსტმოდერნი გაურბის ყოველგვარ მონიზმს, უნიფიკაციის ყველა ფორმას, არ იღებს ერთიან სავალდებულო უტოპიას და დესპოტიზმის მრავალ ფარულ სახეს, სანაცვლოდ გადადის მრავლობითობისა და დივერსიულობის მრავალფეროვნებისა და პარადიგმათა კონკურენციისა და ჰეტეროგენული ელემენტების თანაარსებობის განცხადებაზე.

ჟან ფრანსუა ლიოტარი თავის ნაშრომში „პოსტმოდერნული მდგომარეობა ანუ რაპორტი ცოდნის შესახებ“ ამბობს: „მე განვსაზღვრე პოსტმოდერნი, როგორც მეტანარატივებისადმი უნდობლობა“. ამით იგი, უპირველეს ყოვლისა, ეწინააღმდეგება მოდერნის „ლეგიტიმირებულ“ და უნივერსალურ დისკურსს. იგი პრინციპულად გამორიცხავს „ობიექტური ცოდნის კრიტერიუმებს“, როგორიცაა: ისტორია, რელიგია, მეცნიერება. „ჩვენ დიდი ხანია აღარ გვწამს, რომ ამ ტიპის მოთხრობებს თითოეული ჩვენგანის წარმოჩენა ან დატევა ძალუძთ: თანამედროვეობა, პირიქით, მიკრონარატივებითაა გატაცებული. „მეტანარატივებმა დაკარგეს სანდოობაა, მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდს ან სტილს იყენებენ ისინი. „მეტანარატივების“ სიკვდილი ხელს უწყობს ენობრივი თამაშების წარმოჩენას. ყოველი დიდი ნარაციის დასასრული შესაძლებელს ხდის მრავლობითობას შეზღუდული და ჰეტეროგენული ენობრივი თამაშებისას. ე.ი. აქტივობის ფორმებისა და სიცოცხლის ფორმების ამ მრავლობითობაზე თანხმობა, მისი როგორც შანსისა და შენაძენის ათვისება შეადგენს სწორედ პოსტმოდერნული ცნობიერების პოსტმოდერნულობას.“ (ლიოტარი 2005: 80).

პოსტმოდერნიზმის წარმოშობა და განვითარება თურქულ და ქართულ ლიტერატურაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ ორი ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტთან, ასევე, იმ გლობალურ პროცესებთან, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიოში.

პოსტმოდერნიზმზე, როგორც კულტურულ-ესთეტიკურ სტილზე, თურქულ ლიტერატურაში XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყეს საუბარი. პოსტმოდერნიზმმა შეცვალა მოდერნიზმის ეპოქისეული სამყაროს აღქმა, მან გავლენა იქონია თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროზე. კლასიკურ მწერლობას მიჩვეული თურქი მკითხველისთვის პოსტმოდერნისტული ნაწარმოები,

რომელსაც ახასიათებს დეცენტრალიზებული და ფრაგმენტული სტრუქტურა, ძნელად აღსაქმელი აღმოჩნდა, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად მკითხველის დამოკიდებულებაც შეიცვალა. მხოლოდ რეალისტურ, სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული ლიტერატურა ვეღარ აკმაყოფილებდა თურქ მკითხველთა ინტერესს. განათლებულ მკითხველთა ინტერესები და პრიორიტეტები უფრო და უფრო იხრებოდა პოსტმოდერნისტული ლიტერატურისაკენ. თანდათან თურქულ ლიტერატურაშიც უფრო მძლავრად იკიდებდა ფეხს პოსტმოდერნისტული ელემენტები.

პოსტმოდერნისტული ტენდენციების გაჩენამ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ქართულ ლიტერატურულ ლანდშაფტში. პოლიტიკური რეალობებით შეზღუდულმა ქართველმა მწერლებმა თავიანთი იდეების გამოხატვის ახალ გზებს მიმართეს, რამაც საფუძველი ჩაუყარა პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობას ქართულ ლიტერატურაში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში. ქართველი მკვლევრის ნუგზარ მუზაშვილის აზრით: „საქართველო პოსტმოდერნულ საუკუნეში შეიყვანა არა ინდივიდუალიზმის ან რაციონალიზაციის კრიზისმა, ასეთი რამ ჩვენში არ არსებულა, არამედ თავისუფლების ათმა წელმა. ელვის სისწრაფით განვითარებულმა მოვლენებმა და ყოვლისმომცველლობამ თავისთავად დაბადა უნდობლობა იმ მეტამთხრობელების მიმართ, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი საზოგადოება უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა თავის დაფუძნებას და გარემომცველ სამყაროზე საკუთარ შეხედულებათა ლეგიტიმიზებას. შესაბამისად, თუკი დასავლური პოსტმოდერნიზმის საფუძველი შეიძლება განიმარტოს როგორც დიდი იმედგაცრუება რაციონალიზმით, რადგან ასეთი მსოფლხედვა უძლური აღმოჩნდა სამყაროს ადეკვატურ წვდომაში, ქართული პოსტმოდერნიმზის საფუძველი საკუთაი ვინაობისა თუ რაობის გაურკვევლობას დაუკავშირდა. დღევანდელი კრიზისის ფონზე უნებლიედ საერთო-საყოველთაო ეჭვის ქვეშ დადგა ყველას „ცოდნა“, რაც საკუთარი თავის შესახებ გაგვაჩნდა. გამოიკვეთა ჩვენი მეტამოთხრობების აპოლოგეტური, პათეტიკური, არარეალური შინაარსი“ (მუზაშვილი 2015: 53).

თურქულმა რომანმა, ქართული რომანის მსგავსად, განვითარების თავისებური და რთული გზა განვლო, განიცადა ფორმობრივი და შინაარსობრივი ცვლილება, ჩამოყალიბდა ახალი, პოსტმოდერნისტული რომანი, რომლისთვისაც შეიქმნა განსაკუთრებული მხატვრული ენა, სტილი და გარკვეული შემოქმედებითი ტექნიკა, რამაც განსაზღვრა მისი უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლები.

ქართული და თურქული პოსტმოდერნისტული ლიტერატუ-რისათვის დამახასიათებელია ღიაობა, პლურალიზმი, ირონიულობა, ინტერტექსტუალური კავშირების არსებობა, თამაში, პაროდია, ფრაგმენტული ნარატიული სტრუქტურა, თვითრეფლექსიური სტილი. ეს მახასიათებლები ემსახურება ტრადიციულ ლიტერატურულ ფორმებთან დაპირისპირებას და სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების კრიტიკას თანამედროვე ქართულ და თურქულ საზოგადოებაში.

პოსტმოდერნული ნარატივი ერთდროულად არის ლიტერატურული ჟანრების ჰიბრიდული, ქაოსური ფორმა. ამრიგად, ეს არის გარკვეული ტიპის რომანი, სადაც სხვადასხვა ფორმასა და საგანს სხვადასხვა დისციპლინიდან შეუძლია საკუთარი ადგილის პოვნა. ეს რთული სტრუქტურა, თავის მხრივ, დაკავშირებულია პოსტმოდერნული პერიოდის რთულ სტრუქტურასთან, როცა კლასიკური ნაწარმოები „დაფუძნებულია (საფუძველია) სამყაროს მნიშვნელობების, ჭეშმარიტების ხელშესახებობასა და სანდოობაზე, ვარაუდზე, რომ ყველაფერი, რაც ხდება, ნათელია, ყველა დასასრული ჩანს“ (ბრეგაძე 2013: 70). პოსტმოდერნული ნაწარმოებები გაურკვევლობის, რწმენისა და ღირებულებების დაკარგვის ამსახველია.

პოსტმოდერნულ ნარატივებში პოსტმოდერნისტი მწერლები გამოწვევას უცხადებენ და უპირისპირდებიან რაციონალურ ლიტერატურას და უარს ამბობენ მკაცრ სიუჟეტურ ხაზზე. ისინი ტრადიციული რომანის ტექნიკისა და ფორმის ელემენტების დაშლას იწყებენ. პოსტმოდერნულ რომანში მოწესრიგებული წყობის ნაცვლად გვხვდება არარეგულარული სტრუქტურა. პოსტმოდერნული რომანები შეიცავს გადაჯაჭვულ მოვლენებს, თხრობის სხვადასხვა სტილს, განსხვავებულ თვალსაზრისებს. თანამედროვე ტექსტის სტრუქტურა, რომელიც ჩვეულებრივ ერთი კუთხით იყო წარმოდგენილი, იშლება და ჩანაცვლებულია მრავალი თვალსაზრისით.

თუ თანამედროვე ტექსტების სიუჟეტი ყალიბდება თანამედროვეობის რეალობის შესაბამისად, გარკვეული ლოგიკური თანამიმდევრობისა და განსაზღვრული წესების მიხედვით, პოსტმოდერნული ტექსტების სიუჟეტი დანაწევრებული, გათიშული და რთულია.

პოსტმოდერნული ნარატივის მთავარ გმირს არ გააჩნია კონკრეტული იდენტობა. ის აგრძელებს ტრანსფორმაციას ერთი ფიგურიდან მეორეში.

ინდივიდები ახლა პოსტმოდერნულ საზოგადოებაში დეცენტრალიზებული სამყაროს ფრაგმენტული სუბიექტები არიან.

დღევანდელ პოსტმოდერნულ რომანებში სუბიექტი/პერსონაჟი წმინდა ფიქციური ელემენტია წარმოსახვით ქსოვილში და მან დაკარგა მნიშვნელობის მატარებლის როლი, რომელიც მას წარსულში ჰქონდა (Ecevit 2006: 77).

პოსტმოდერნისტული ტენდენციები მრავალი ქართველი და თურქი ავტორის რომანებში გამოვლინდა, მათ შორისაა: ორჰან ფამუქის „თეთრი ციხესიმაგრე“ (1985), „შავი წიგნი“ (1990), „მე წითელი მქვია“ (1993); ფინარ ქიურის „ერთი მკვლელობის რომანი“ (1989), ნაზლი ერაის „შეყვარებული თუთიყუშის ბარი“ (1995), „სიყვარულით შემოსილი ადამიანი“ (2001), ზურაბ ქარუმიძის „ღვინომუქი ზღვა“ (2000), აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (1998), ზაზა ბურჭულაძის „მინერალური ჯაზი“ (2010). ეს ახალი მიმდინარეობა თითოეულ ავტორთან უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნებით აისახა.

პოსტმოდერნისტულმა ლიტერატურამ გარკვეული სიახლე მოიტანა ქართულ და თურქულ ლიტერატურაში. რომანები გათავისუფლდა დეკლარირებული, კონვენციური ნარატივისაგან. კითხვის ნიშნის ქვეშ

დადგა ნორმები, დაიწყო თამაში ენასა და ფორმასთან. ჩამოყალიბდა ეკლექტიკური და თვითრეფერენციული სტილი მრავალფეროვანი ლიტერატურული მახასიათებლებით.

გამოყენებული ლიტერატურა

ავალიანი 2007: ავალიანი ლ., ინტერტექსტუალიზაციისათვის (ფრაგმენტები). კრიტიკა, №2, 2017.

ბახტინი 2010: ბახტინი მ., კარნავალიზებული ლიტერატურა. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, წიგნი II. თბილისი, 2010.

ბერეკაშვილი 2008: ბერეკაშვილი თ., პოსტმოდერნიზმი და მასობრივი კულტურა. ჟურნალი „სემიოტიკა“, №3, 2008.

ბრეგაძე 2013: ბრეგაძე კ., პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა. სჯანი, №14, 2013.

ბურდული 2010: ბურდული ი., პოსტმოდერნიზმის ზოგადკულტურული პარადიგმა პატრიკ ზიუსკინდის ნარატივში. თბილისი, 2010.

გაფრინდაშვილი 2011: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ.. ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. თბილისი, 2011.

მუზაშვილი 2015: მუზაშვილი ნ., ქართული პოსტმოდერნიზმი, თბილისი, 2015.

ლიოტარი 2005: ლიოტარი ჟ., შენიშვნები პოსტმოდერნიზმის მნიშვნელობაზე. კრიტერიუმი, №1, 2005.

Ecevit 1996a: Ecevit Y., Orhan Pamuk'u Okumak. Gerçek Yayınevi. 1. Baskı, 1996.

Ecevit 1996b: Ecevit Y.,Orhan Pamuk'un Romanlarında Ana Bileşenler". Sayı: 1063. Varlık. Nisan, 1996.

Ecevit 2001: Ecevit Y., Türk Romanında Postmodernist Açılımlar. İletişim Yay. İstanbul, 2001.

Ever 1995: Ever M., Dante'den Orhan Pamuk'a Yeni Hayat", Varlık, Şubat. Sayı: 1049, 1995.

Gürsel 1995: Gürsel A., Edebiyat yazıları-III. Ankara: Gündoğan Yay, 1995.

Gürsel 1999: Gürsel A., „Genel Edebiyat Bilimi". İstanbul: Papirüs Yay, 1999.